ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. დეკემბრის 10. № 31 ტფილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება.

193. ხაშურის რაიონში იმერხევის სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

194. სამრეწველო საწარმოთა გაწყობილობის შედგენილობისა და მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

195. კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროს დროებითი ტიპური წესდების მე-4 მუხლის დამატების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

196. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების კანონის ძალის მქონე აქტებად აღიარებისა და ამ ხელშეკრულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი.

197. საავტო-სწრაფსაზიდვო ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

198. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 91 მუხლის მე-III კარის მეორე ნაწილის შეცვლის შესახებ.

შ რ ო მ ა.

199. „შრომის გმირთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლისათვის მე-3 ნაწილის დამატების შესახებ.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა.

200. ნაკრძალების, მკვდარი ბუნების ნაკრძალი ძეგლებისა და დაცვითი ნაკვეთების ქსელის დამტკიცების შესახებ.

201. ნაკრძალებისა, მკვდარი ბუნების ნაკრძალი ძეგლებისა და დაცვითი ნაკვეთების ქსელის დამტკიცებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულ დადგენილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

193. დადგენილება ც.ა.კ.

012.6

ხაშურის რაიონში იმერხევის სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ხაშურის რაიონის ზღუდერის სასოფლო საბჭოს გამოეყოს სოფლები: იმერხევი, კლდისთავი, ველისციხე, ორბოძალა, ბანი, ბატიური და ძაძვის მონასტერი და ამ სოფლებისათვის დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ იმერხევში.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. ოქტომბრის 16, № 88.
ტფილისი

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

194. დადგენილება ს.კ.ს.

214

სამრეწველო საწარმოთა გაწყობილობის შედგენილობისა და მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვის შესახებ.

ვინაიდან სამრეწველო საწარმოთა გაწყობილობის შედგენილობისა და მოძრაობის წესიერ აღრიცხვას უაღრესი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის ცალკეული დარგებისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის გაწყობილობის საპერსპექტივო და აღსრულებითი ბალანსების შედგენის დროს, და რომ ეს აღრიცხვა მთელ რიგ საწარმოებში აქამდე შემოღებული არ არის ან დაყენებულია არადამაკმაყოფილებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობისა და შინავაჭრობის სახალხო კომისარიატებს და აგრეთვე ყველა სხვა უწყებას და ორგანიზაციას (სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, საქალაქო საბჭო, კოოპერაცია და სხვა მისთ.), რომლის სისტემაშიაც სამრეწველო საწარმოებია, დაამთავრონ მე-IV კვარტალის განმავლობაში თავის ქვემდებარე სამრეწველო საწარმოებში ერთიანი საინვენტარო კარტაკის შემოღება და მოაწყონ ამ კარტაკის საფუძველზე გაწყობილობის შედგენილობისა და მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვა, რისთვისაც უნდა გამოიყენონ მანქანებისა და ტექნიკური გაწყობილობის ინვენტარიზაცია, რაც უკვე სწარმოებს.

2. კარტაკის შემოღებისა და აღრიცხვის წარმოების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მითითებანი და ინსტრუქცია; ამასთანავე, საქმის წესიერი დაყენება უზრუნველყოფილ უნდა იქნას საჭირო შემთხვევაში სპეციალურად პასუხისმგებელ პირთა გამოყოფით უშუალო ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის.

3. საინვენტარო კარტაკის შემოღება ეკისრება ბუხჰალტერიას—ისე-კი, რომ კარტაკის შევსება სპეციალური ხასიათის საკითხვების შესახები ცნობებით უნდა ხდებოდეს საწარმოს საინჟენერო-სატექნიკო მომუშავეთა მონაწილეობით.

4. საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველომ უნდა შეამოწმოს ერთიანი საინვენტარო კარტაკის შემოღება და აღრიცხვის მდგომარეობა სამრეწველო საწარმოებში და რაც გამოირკვევა აცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1936 წ. თებერვლის 1-ისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. ნოემბრის 6. № 1530.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 125 №-ში 1935 წ. ნოემბრის 16.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

195. დადგენილება ს.კ.ს.

კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროს დროებითი ტიპური წესდების მე-4 მუხლის დამატების შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროს დროებითი ტიპური წესდების მე-4 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-14 №-ი, მუხ. 202) დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„კერძოდ, სალარო ინახავს ობოლ ბავშვებს და დახმარებას უწევს დროებით გაჭირვებაში ჩავარდნილ კოლმეურნეთა ბავშვებს".

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 11. № 1039.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მომარაგება.

196. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების—კანონის ძალის მქონე აქტებად აღიარებისა და ამ ხელშეკრულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

„საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების—კანონის ძალის მქონე აქტებად აღიარებისა და ამ ხელშეკრულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. სექტემბრის 21-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 51, მუხ. 422; სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 1935 წ. 226 №-ი), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. ბამბის, ჭარხლის, სელისა და თამბაქოს კონტრაქტაციის ხელშეკრულებათ, რაც დამზადებელი ორგანიზაციების მიერ დადებულია კოლექტიურ მეურნეობებთან, კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეობებთან სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ მთავრობათა დადგენილებებისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ინსტრუქციების შესაბამისად, აქვთ კანონის ძალა, რომლის ზედმიწევნით და უცილობლად აღსრულება სავალდებულოა, როგორც კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის, ისე დამზადებელი ორგანიზაციებისათვის. არავითარი დარღვევა ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა, როგორც კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ, ისე დამზადებელი ორგანიზაციების მიერ, არ შეიძლება.

ამისდაშესაბამისად, ამ ხელშეკრულებების ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს მატერიალურ პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით, ამა დადგენილების 2—4 მუხლების თანახმად.

2. უკეთუ საკონტრაქტაციო ხელშეკრულება არ შეასრულა კოლექტიურმა მეურნეობამ ან კოლმეურნემ, მას, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულის განკარგულებით, ხოლო იქ, სადაც იგი არ არის,—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის (დამზადებათათვის გამოყოფილი) განკარგულებით, გადაჰხდება ვადამდე უდავო წესით, სასოფლო საბჭოს მეშვეობით, ნატურად მთელი წლის ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ საკონტრაქტაციო ხელშეკრულება არ შეასრულა კოლექტიურმა მეურნეობამ, კოლექტიური მეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე და წევრები, ამის გარდა, მიიცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც თანამდებობის პირნი, რომელთაც გამოიჩინეს მათთვის კანონით დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობისადმი უგულვებლობა და არაკეთილსინდისიერება, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116, 117 და 118 მუხლების თანახმად.

3. უკეთუ საკონტრაქტაციო ხელშეკრულება არ შეასრულა ერთპიროვნულმა მეურნეობამ, მას, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულის განკარგულებით, ხოლო იქ, სადაც იგი არ არის,—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის (თამზადებათათვის გამოყოფილი) განკარგულებით, გადაეხდება ვადამდე უდავო წესით, სასოფლო საბჭოს მეშვეობით, ნატურად მთელი წლის ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგაუტეხლობის ჯარიმა.

ამის გარდა, ერთპიროვნული მეურნეობის მიერ საკონტრაქტაციო ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეფარდებულ უნდა იქნას, როგორც სახელმწიფო ბეგარის და დავალების შეუსრულებლობისათვის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლი, სახელდობრ:

ა) უკეთუ ხელშეკრულება შეუსრულებელია პირველად და არ არის დამამძიმებელი გარემოებანი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებული, ხოლო იქ, სადაც არ იგი, არის—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (დამზადებათათვის გამოყოფილი) დაადებს სასოფლო საბჭოს მეშვეობით მეურნეობას ფულად ჯარიმას ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების ხუთჯერადი რაოდენობით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად;

ბ) უკეთუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა განმეორდა, ან თუნდაც იგი შესრულებელ არ იქნას პირველად, ხოლო უკეთუ არის დამამძიმებელი გარემოება, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებული, ხოლო იქ, სადაც იგი არ არის,—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მოადგილე (დამზადებათათვის გამოყოფილი), სასოფლო საბჭოს მეშვეობით „ა“ პუნქტში აღნიშნული ფულადი ჯარიმის დადების გარდა, მისცემს მეურნეობის მეთაურს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მეორე ან მესამე ნაწილის თანახმად.

სსრ კავშირის სასალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის (დამზადებათათვის გამოყოფილი) მიერ დადებული ფულადი ჯარიმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგაუტეხ-

ლობის ჯარიმის თანხასთან ერთად, არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების ხუთჯერად რაოდენობას.

4. უკეთუ დამმზადებელი ორგანიზაცია არ გადაიხდის კონტრაქტანტის (კოლექტიური მეურნეობა, კოლმეურნე ან ერთპიროვნული მეურნეობა) ხვედრს ფულს და არ მისცემს მას ხვედრ საქონელს ნატურად, ამაში დამნაშავე მომუშავენი დამმზადებელი ორგანიზაციისა მიეცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც მათთვის კანონით დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობისადმი უგულველობით და არაკეთილსინდისიერი მოპყრობისათვის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116, 117 და 118 მუხლების თანახმად.

II.

5. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის მეორე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 124) არ ვრცელდება ბამბის, ჭარხლის, სელისა და თამბაქოს კონტრაქტაციის ხელშეკრულებებზე, რაც დადებულია ამა დადგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. ნოემბრის 4. № 93/1515.
ტფილისი.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

197. დადგენილება ს.კ.ს.

საავტო-საჭაპანზიდვო ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესებულ იქნას საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისთვის მისაჩენი ზოლების შემდეგი ნორმები:

1. გზების თვითეული კლასისათვის დაწესებულია განსაზღვრული მისაჩენი ზოლი არა უმეტეს:

ა) I კლასის—საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზებისათვის—40 მეტრისა;

ბ) II კლასის—რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის—35 მეტრისა;

გ) III კლასის—ავტონომიურ რესპუბლიკანური და ავტონომიურ-საოლქო მნიშვნელობის გზებისათვის—30 მეტრისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) IV-კლასის—სარაიონო მნიშვნელობის გზებისათვის—15 მეტრისა;

ე) V კლასის—სასოფლო და საკოლმეურნეო მნიშვნელობის გზებისათვის—10 მეტრისა;

ვ) VI კლასის—სპეციალური დანიშნულების გზებისათვის, რომელნიც მომსახურეობას უწევენ ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საჭიროებას,—5 მეტრისა.

შენიშვნა. 1) ტყიან ადგილებში საგზაოდ მისაჩენი ზოლი გადიდდება 10 მეტრით.

2) ყველა კატეგორიის გზისათვის, რომელიც აღნაგიან ადგილზე გადის, მისაჩენი ზოლები დანორმდება საქალაქო და სასოფლო დაგეგმვის წესებით.

3) სპეციალური დანიშნულების გზა, რომელიც ერთი მიწათსარგებლობის ფარგლებში მდებარეობს, ითვლება შინა-სამეურნეო გზად და აღნიშნულ კატეგორიებს არ მიეკუთვნება.

4) რკინის გზის სადგურთან და ნავთსადგურთან მისასვლელი გზა, თავისი დანიშნულების მიხედვით, მიეკუთვნება გზების სათანადო კლასს-

2. ციხეებისა და გამაგრებული რაიონების ფარგლებში ყველა კატეგორიის გზისთვის მისაჩენი ზოლის სიგანე შეთანხმებულ უნდა იქნას სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებთან.

3. I, II და III კლასის გზატკეცილებისა და ყამირგზებისათვის მისაჩენი ზოლები, ამათზე აგებული ყველა საგზაო ნაგებობითა და შენობით და აგრეთვე ამ ზოლებში არსებული ტყით, არის საქართველოს სსრ-ის გზატკეცილების და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უშუალო გამგებლობაში. IV და V კლასის გზებისათვის მისაჩენი ზოლები არის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების გამგებლობაში, კუთვნილებისამებრ. სპეციალური დანიშნულების გზისათვის მისაჩენი ზოლები არის იმ უწყების თუ საწარმოს გამგებლობაში, რომლის ინტერესებსაც ეს ზოლები მომსახურეობას უწევენ. საერთო ზედამხედველობას და კონტროლს ადგილობრივი მნიშვნელობისა და სპეციალური დანიშნულების გზების მდგომარეობისათვის განახორციელებს საქართველოს სსრ-ის გზატკეცილების და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო.

იმ ორგანოს უნებართვოდ, რომლის გამგებლობაშიაც გზაა, მისაჩენი ზოლის გამოყენება არავის არ შეუძლია.

მისაჩენი ზოლების გზასთან მდებარე ნაკვეთები, რაც დროებით უშუალოდ არ უჭირავს საგზაო მოწყობილობას, მასალის საწყობებს და სხვ., შეიძლება გადაეცეს, სათანადო საგზაო ორგანოების ნებართვით, დროებითი გამოყენებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით იმ მიწათმოსარგებლეს, რომლის მიწის გვერდით ან რომლის მიწაზედაც გზა გადის, ხოლო იმ პირობით, რომ მიწათმოსარგებლეს არა აქვს უფლება ააგოს ამ ზოლზე კაპიტალური ნაგებობა სათანადო ორგანოების თანხმობის გარეშე.

შენიშვნა. საგზაო ორგანოების მიერ განკარგულების მოხდენა საგზაოდ მიჩენილ ზოლში ციხეებისა და გამაგრებული რაიონების ფარგლებში შეიძლება სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან შეთანხმებით.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც საგზაო ნაგებობათა ხასიათის გამო (მაღალი ბექური, ღრმა ამონათხარი, ნაკადწარმმართველი ჯებირების გაკეთება, ნაპირების გამაგრება, საგზაო შენობების აგება, საზღუდავი სამუშაოები და სხვ.) ამ დადგენილებით დაწესებული მისაჩენი ზოლი საკმარისი არაა, საგზაო ორგანოები აღძრავენ სათანადო ორგანოების წინაშე დასაბუთებულ შუამდგომლობას მისაჩენი ზოლის გაფართოების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც გზა ადგილობრივი ეკონომიური პირობების შეცვლის, ან რესპუბლიკის საადმინისტრაციო ცენტრების გადატანის, ანდა ტექნიკური მიზეზის გამო უმაღლეს კატეგორიაში გადაირიცხება, მისაჩენი ზოლის სიგანე გადიდებულ უნდა იქნას სათანადოდ გზის ახალი კატეგორიის მიხედვით.

6. გზის გაუქმებისა და აგრეთვე დაბალ კატეგორიაში გადარიცხვის დროს განთავისუფლებული მიწა გადადის იმ მიწათსარგებლობის შედგენილობაში, რომლის გვერდით ან რომელზედაც ეს გზა გადის.

7. კატეგორიების მიხედვით გზების სიების დადგენილი წესისამებრ დამტკიცებისას, საგზაო მისაჩენი ზოლების საზღვრების ფიქსაცია, კატეგორიების შესაბამისად, მოხდება იმ წესით, რაც დადგენილია დებულებით ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 12 №-ი, მუხ. 66-ბ.)

8. ახალი გზების გაყვანისა, ამა დადგენილების მე-4 მუხლის წესისამებრ არსებული გზების გაფართოებისა და აგრეთვე მე-5 მუხლის მიხედვით გზების უმაღლეს კატეგორიაში გადარიცხვის დროს საგზაო ზოლის მიჩენა გზისათვის მოხდება მიწათმოწყობის წესით.

9. გზებზე მწვანე ზოლის შესაქმნელად, რაც უზრუნველჰყოფს გზების დაცვას ნამქერისაგან, აკრძალულია ხეების და ბუჩქნარის მოჭრა 40 მეტრის ფარგლებში ორივე მხრით გზის ღერძიდან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. ოქტომბრის 25. № 1473.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

198. დადგენილება ს.კ.ს

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 91 მუხლის მე-III კარის მეორე ნაწილის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 91 მუხლის მე-III კარის მეორე ნაწილი (საქ სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 139; 1935 წ. მე-18 №-ი, მუხ. 112) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ხოლო, უკეთუ მეურნეობაში ქონებული საწარმო მოქმედობს წყლის თუ ქარის ძალის გამოყენებით, იგი ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საწარმოს წლიური შემოსავალი აღემატება 150 მანეთს, ხოლო წისქვილის შემოსავალი—7 ცენტნერს წელიწადში, ძირითადი საწარმოო ხარჯების (57 მუხ.) გამოკლებით მარცვლეულზე გადატანით“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს ოს საქმეთა მმართველის თ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. ნოემბრის 4. № 1510.

ტფილისი.

შ რ ო მ ა

199. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„შრომის გმირათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლისათვის მე-3 ნაწილის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „შრომის გმირთა შესახებ“ გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 11-ის დადგენილების მე-5 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-12 №-ი, მუხ. 115, 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 108 და 1933 წ. მე-18 №-ი, მუხ. 256) დაემატოს მე-3 ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„შრომის გმირის პენსია არ შეიძლება აღემატებოდეს 500 მან. თვეში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამა დადგენილების გამოცემამდე შრომის გმირისათვის 500 მანეთზე მეტი რაოდენობით დანიშნული პენსია დატოვებულ იქნას წინანდელი რაოდენობით.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. ნოემბრის 4. № 94/1516.
ტფილისი.

ბ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

200. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ნაკრძალების, მკვდარი ბუნების ნაკრძალი ძეგლების და დაცვითი ნაკვეთების ქსელის დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ნაკრძალთა კომიტეტის გამგებლობაში მყოფი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ნაკრძალების, მკვდარი ბუნების ნაკრძალი ძეგლებისა და დაცვითი ნაკვეთების შემდეგი ქსელი:

I. სრული ნაკრძალები.

1. ლაგოდეხის ნაკრძალი, ფართობით 4.000 ჰექტარამდე, შემდეგი საზღვრებით: ჩრდილოეთით—სახელმწიფო საზღვარი დაღესტნის ასსრ-ის გასწვრივ კავკასიონის ქედის მწვერვალით ზაქათლის ნაკრძალის შესაყარამდე; აღმოსავლეთით: ზევით—სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანის სსრ-ის გასწვრივ (მდ. მაწიმი), ქვევით—დემიდოვის ყოფილი მეორე სახლიდან ხოჩალის ქედის მწვერვალით მის ძირამდე; სამხრეთით: ქვევით—პირდაპირი ხაზი ქედების ძირზე ჩოლოყაშვილის ყოფილ ბორცვსა და ხოჩალის ქედს შორის, ზევით—ტეხილი ხაზი დემიდოვის ყოფილი მეორე სახლიდან ქედის თხემებით ციხის ბორცვის მწვერვალის გადაჭრით მდ. მაწიმამდე; დასავლეთით—გზატკეცილიდან ჩოლოყაშვილის ყოფილი ბორცვის მწვერვალის გადაჭრით, ნინიგორის ქედის მწვერვალით ანწალის მწვერვალის მხრისაკენ.

ნაკრძალის ძირითადი მიზანია ენდემიური ფაუნის (კავკასიური კეთილშობილი ირემი, ჯიხვი, არჩვი, შველი, შურთხი) და აგრეთვე ფლორის მთელი რიგი რელიქტური და ენდემიური წარმომადგენლების (ბოყვი, ლაფანი და სხვ.) აღდგენა და გამრავლება შემდგომი გამოყენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრძალის დაცვა მიენდოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და საქართველოს მონადირეთა კავშირს („მონკავშირს").

2. ბ ო რ ჯ ო მ ი ს ნ ა კ რ ძ ა ლ ი, ფართობით 14.000 ჰექტარი, შემდეგი საზღვრებით: სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით—მდ. მტკვარი (სოფ. ქვაბისხევიდან სოფ. რველამდე); აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით—სოფ. რველიდან ბანისხევის ხეობით და ლომისმთის ძირით საჩინიანის თავის ადგილამდე; დასავლეთით—საჩინიანის თავიდან ზორეთის ქედით მდ. მტკვრამდე.

ნაკრძალის ძირითადი მიზანია ძვირფას სანადირო და სამრეწველო ცხოველთა—კავკასიური კეთილშობილი ირმის, ნიამორის, დაღესტნური ჯიხვის, ყოველგვარი კვერნის, კავკასიური როჭოს და სხვ.—დაცვა, აღდგენა და გამრავლება, შემდგომი გამოყენებით; აგრეთვე ენდემიური ჯიშებისაგან შემდგარი ტყის მასივების (აღმოსავლური წიფელა, კავკასიური ნაძვი) შენარჩუნება, რომლებიც ამავე დროს არეგულირებენ ამ რაიონის წყალთა რეჟიმს.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს.

3. ფ ო თ ი ს ნ ა კ რ ძ ა ლ ი სოფ. პატარა-ფოთის ახლო, ფართობით 1.000 ჰექტარამდე, შემდეგი საზღვრებით: აღმოსავლეთით და სამხრეთით—მდ. რიონი, დასავლეთით და ჩრდილოეთით—რკინის გზის ხაზი.

ნაკრძალის მიზანია ყველა ბუნებრივი თავისებურობის კომპლექსის (ფაუნა, ფლორა, ნიადაგი) შენარჩუნება, რაც ახასიათებს კოლხიდის დაბლობს დაშრობამდე.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, საქართველოს მონადირეთა კავშირს („მონკავშირს") და ფოთის საქალაქო საბჭოს.

II. კ ე რ ძ ო ნ ა კ რ ძ ა ლ ე ბ ი.

ა) ფ ლ ო რ ი ს ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ნ ა კ რ ძ ა ლ ე ბ ი.

1. ურ თ ხ მ ე ლ ი ს კ ო რ ო მ ე ბ ი თელავის რაიონში, ფართობით 400 ჰექტარი, მდ. ბაწარას ხეობის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე.

ნაკრძალის მიზანია ურთხმელის, როგორც ტექნიკურად ძვირფასი რელიქტური ჯიშის, შენარჩუნება და შემდგომი გავრცელება.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

2. ფ ს ტ ა—კორომები და ცალკეული ხეები სიღნაღის რაიონის შირაქის ველზე.

ნაკრძალის მიზანია ფსტის შენარჩუნება და შემდგომი გამრავლება, როგორც ტექნიკურად ძვირფასი და რელიქტური ჯიშისა.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

3. ელდარის ფიჭვი—კორომები ფართობით 40 ჰექტარი და ცალკეული ხეები ელდარის ველის ტერიტორიაზე სიღნაღის რაიონის ფარგლებში.

ნაკრძალის მიზანია ელდარის ფიჭვის შენარჩუნება და შემდგომი გამრავლება, როგორც ენდემიური და რელიქტური ჯიშისა, რომელიც ძვირფასია ქალაქების გასამწვანებლად.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

4. მარიამჯვარის ფიჭვი—კორომები ფართობით 40 ჰექტარი და ცალკეული ხეები მარიამჯვარის ღელის ნარიყზე საგარეჯოს რაიონში.

ნაკრძალის მიზანია მარიამჯვარის ფიჭვის შენარჩუნება, რომელიც ძვირფასია როგორც ფორმის წარმოქმნის ნიმუში.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

5. ნაღვრევი, ბორჯომის რაიონში, ფართობით 300 ჰექტ. ნაკვეთი, წიწვიან-ფოთლოვანი ტყით მთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობზე, რომელიც მდ. გუჯარეთის-წყალზე ეშვება.

ნაკრძალის მიზანია მთლად ამ ნაკვეთის მცენარეულობის სავსებით შენარჩუნება, რადგანაც მას აქვს დიდი მნიშვნელობა ადგილისა და წყლის დაცვისათვის.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს.

6. წაბლი—კორომები ფართობით 1.400 ჰექტარი ტყიბულის რაიონში, მდ. ტყიბულის ხეობის ფერდობებზე და ხეობის ზევ-ზევ აყოლით ნაქერალის ულელტეხილამდე.

ნაკრძალის მიზანია წაბლის შენარჩუნება და შემდგომი გამრავლება, როგორც ტექნიკურად ძვირფასი და რელიქტური ჯიშისა.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

7. ძელქვა—კორომები და ცალკეული ხეები ქუთაისის რაიონის აჯამეთის ტყის აგარაკში, აგარაკის არსებული საზღვრებით.

ნაკრძალის მიზანია ძელქვის შენარჩუნება, როგორც ტექნიკურად ძვირფასი ენდემიური და რელიქტური ჯიშისა.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

8. პონტოს მუხა—კორომები ფართობით 14 ჰექტ., ბახმაროს სატყეო მეურნეობაში, მახარაძის რაიონში.

ნაკრძალის მიზანია პონტოს მუხის შენარჩუნება, როგორც რელიქტური და ენდემიური ჯიშისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრძალის დაცვა მიენდოს საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს.

9. ბიჭვინტის ფიჭვი—კორომები, რომლებსაც უჭირავთ მთლად ბიჭვინტის ნახევარკუნძული.

ნაკრძალის მიზანია ბიჭვინტის ფიჭვის შენარჩუნება და შემდგომი გამრავლება, როგორც ენდემიური და რელიქტური ჯიშისა, რომელიც, ამასთანავე ძვირფასია ქალაქების გასამწვანებლად.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ნაკრძალთა კომიტეტის ბიუროს.

შენიშვნა. სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს ევალებათ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული, ნაკრძალთა კომიტეტის მეთვალყურეობით, დააწესონ ფლორის ნაწილობრივ ნაკრძალთა ზედმიწევნითი საზღვრები და შემოხაზონ ნატურად.

ბ) ფაუნის ნაწილობრივი ნაკრძალები.

1. თავფარავანის კობრი თავფარავანის ტბაში. ნაკრძალის მიზანია თავფარავანის კობრის შენარჩუნება და შემდგომი გამრავლებისათვის სათანადო პირობების შექმნა, როგორც ცივ წყალში და მაღალმთიან ადგილას წარმოქმნილი რასისა, რომელსაც თევზის მეურნეობაში დიდი ფასი აქვს.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს საქართველოს სსრ მეთევზეობისა და თევზის მოშენების მრეგულირებელ სამმართველოს.

2. მეგრული ფუტკარი, რომელიც გავრცელებულია ჩხოროწყუს, წალენჯიხის და მარტვილის რაიონებში.

ნაკრძალის მიზანია მეგრული ფუტკრის შენარჩუნება და შემდგომი გამრავლებისათვის სათანადო პირობების შექმნა, როგორც დიდი სამეურნეო მნიშვნელობის მქონე ჯიშისა.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს ჩხოროწყუის, წალენჯიხის და მარტვილის საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

III. მკვდარი ბუნების ნაკრძალი ძეგლები.

1. ქოროღლის ვულკანის მწვერვალი ტფილისის რაიონში.

ნაკრძალის მიზანია ქოროღლის ვულკანის შენარჩუნება, როგორც ქ. ტფილისის რაიონის ვულკანურ ამონთხევათა ცენტრისა.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს ტფილისის საქალაქო საბჭოს განმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. თავკვეთილის ვულკანის მწვერვალი ბორჯომის რაიონში.

ნაკრძალის მიზანია თავკვეთილის ვულკანის შენარჩუნება, რომელსაც აქვს სამეცნიერო მნიშვნელობა, როგორც ახალქალაქისა და ბორჯომის რაიონების ვულკანურ ამონთხევათა ცენტრს.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს ბორჯომის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

3. გაქვავებული ტყის ნაკვეთი ადიგენის რაიონის ურხტლის უბანში.

ნაკრძალის მიზანია გაქვამებული ტყის ნაკვეთის შენარჩუნება, რომელსაც აქვს სამეცნიერო მნიშვნელობა.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს.

4. „დევისხვრელის" მღვიმე ხორაგოულის რაიონში.

ნაკრძალის მიზანია მღვიმის შენარჩუნება, როგორც ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ნაშთისა (პალეოლითური ადამიანის ნაშთები).

ნაკრძალის დაცვა მიენდოს ხორაგოულის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

5. „ვარძის-ქვის" მღვიმე ჭიათურის რაიონში.

ნაკრძალის მიზანია მღვიმის შენარჩუნება, როგორც ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ნაშთისა (პალეოლითური ადამიანის ნაშთები).

ნაკრძალის დაცვა მიენდოს ჭიათურის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

6. „სათაფლიას" სტალაქტიტის მღვიმე ქუთაისის ახლოს.

ნაკრძალის მიზანია სტალაქტიტის მღვიმის შენარჩუნება, როგორც ბუნების სილამაზის ნიმუშისა, რომელსაც, ამასთანავე, აქვს სამეცნიერო მნიშვნელობა.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს ქუთაისის მუზეუმს.

7. სტალაქტიტის მღვიმე წყალტუბოს ახლო.

ნაკრძალის მიზანია სტალიქტიტის მღვიმის შენარჩუნება, როგორც ბუნების სილამაზის ნიმუშისა, რომელსაც, ამასთანავე, აქვს სამეცნიერო მნიშვნელობა.

ნაკრძალის დაცვა მიენდოს საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს.

IV. დაცვითი ნაკვეთები.

1. კოჯრის პარკი ტფილისის რაიონში—აკლიმატიზებული უცხოური ძვირფასი ჯიშის მცენარეებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარკის დაცვა მიენდოს ტფილისის საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველოს.

2. ბ ო რ დ ი ს პ ა რ კ ი ქუთაისის რაიონში—აკლიმატიზებული უცხოური ძვირფასი ჯიშის მცენარეებით.

პარკის დაცვა მიენდოს ქუთაისის საქალაქო საბჭოს.

3. ზ უ გ დ ი დ ი ს პ ა რ კ ი—აკლიმატაზებული უცხოური ძვირფასი ჯიშის მცენარეებით.

პარკის დაცვა მიენდოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და ზუგდიდის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. ნოემბრის 4. № 92/1514.

ტფილისი.

---

201. დადგენილება ს.ძ.ს.

ნაკრძალების, მკვდარი ბუნების ნაკრძალი ძეგლებისა და დაცვითი ნაკვეთების ქსელის დამტკიცებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულ დადგენილებათა შესახებ.

„ნაკრძალების, მკვდარი ბუნების ნაკრძალი ძეგლებისა და დაცვითი ნაკვეთების ქსელის დამტკიცების შესახებ“ გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ნოემბრის 4-ის დადგენილებასთან დაკავშირებით (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 31 №-ი, მუხ. 200). საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

1) 1928 წ. აპრილის 24-ის „ზოგიერთ სატყეო ნაკვეთებისა და პარკების აკრძალულად გამოცხადების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-8 №-ი, მუხ. 65);

2) 1935 წ. იანვრის 26-ისა „ბორჯომის სანადირო ნაკრძალის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-5 №-ი, მუხ. 26).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. ნოემბრის 10. № 1555.

ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 61. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 20/XI; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/XII; ტირაჟი 1.800

თავლ. რწმ. № 87017 საქ. სახკომსაბჭოს სტამბა შეკვ. № 1472